№ 254

ცნობის ფურცელი

№ 2542 შაბათი, 3 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2542

გაზეთის ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ანტონ, მართა, მარიამ და პეტრე ჯიჯიეიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ორი—საყვარელ შვილისა, მესამე—ძვირფას მეუღლისა და მეოთხე—ძმის

მღ. ნიკოლოზ ანტონის ძის ჯიჯიეიშვილისას.

განსვენებულის დასაფლავება მოხდება კვირას, 4 ივლისს, სოფელ გულიანში.
(1—246—1)

საფაბრიკოსაწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუგვის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—137)

თვალის ავადმყოფობის ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
გადავიდა
კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხეზე სახლი ყვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან). მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. (3—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. ძულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
ბ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.
მძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში
კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი
(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)
მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—30

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივლისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ხმებია, იაპონელებმა ინკოუ დაიჭირეს და რუსებს იმათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ნიუ-ჩუანიდან მიღებულ კერძო ცნობებით, ბრძოლა, რომელსაც ელოდნენ, დაწყებულა გაიჩოუსა და დაშიცაოს შუა.

ლიაოიანი. ბანაკებში მცხოვრებ ჩვენ მოწინავე რაზმების აფიცრებს ძალიან ენატრებათ რუსული ჟურნალ-გაზეთები. ყველა რუსულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს სთხოვენ, უსასყიდლოდ უგზავნონ დარჩენილი ნომრები „ვესტნიკ მანჯურსკოი არმიი“-ს რედაქციას, რომელიც გაუგზავნის მიღებულ ნომრებს შორეულ რაზმებს, აფიცრებსა და სალდათებს.

ზლატოუსტი. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ გააბედნიერეს ზლატოუსტი ჩამობრძანებით. დილის 10 საათ. და 15 წუთ. მოვიდა ხელმწიფის მატარებელი; ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე გამოვიდნენ ვაგონიდან ამალითურთ, მოისმინეს სალამი, მიიღეს დეპუტაციებისაგან პურ-მარილი. ხელმწიფე იმპერატორმა მოწყალედ მადლობა გადაუხადა, ეტლში ჩაბრძანდა და იმ ადგილისაკენ გაემართა, სადაც ჯარი იდგა. ხელმწიფემ გაატარა პოლკები ცერემონიალის მარშით, შემდეგ ფრონტის შუაში ჩადგა, მოწყალე სიტყვებით გზა დაულოცა პოლკებს და ხატებით აკურთხა.

უფა. საღამოს 9 საათზე ზლატოუსტიდან წაბრძანდნენ უფის გზით ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე მემკვიდრე ამალითურთ. მრავალი ხალხი გაბედნიერებულ იქმნა ხელმწიფის ცქერით. ხელმწიფე ფანჯარასთან იდგა და მოწყალეთ თავს უკრავდა თავმოყრილ ხალხს.

2 ივლისი

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა ჩიფუს ჩრდილოეთით შეიპყრეს ინგლისელთა გემი, რომელსაც კონტრაბანდა მიჰქონდა.

სამარა. 1 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე მემკვიდრითურთ მოვიდა სამარის სადგურზე 10 საათსა და 15 წუთს. შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნი ჯარი ვოკზლის მოედანზე იყო გამწკრივებული. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ჯარი და ხატებით დალოცა, გამოეთხოვა ჯარს და წაბრძანდა მოწყალების დათა ოლგას საზოგადოებაში, სადაც თავმჯდომარემ, გუბერნატორის მეუღლემ, პურ-მარილი მიართვა, ხოლო ტოლსტაიამ თაიგული. 2 საათსა და 20 წ. ხელმწიფის მატარებელი სამარიდან წავიდა.

პეტერბურგი. სამხედრო-სასანიტარო გემი „ნოვიკ“, რომლის დანიშნულება იქნება დაჭრილთა რუსეთში გადმოზიდვა, დაიქირავა პეტერბურგის ვაჭართა საზოგადოებამ და არა ბირჟის საზოგადოებამ, როგორც წინად იტყობინებოდნენ.

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 30 ივნისს: „29 ივნისს სამხრეთისკენ ცვლილება არ მომხდარა. მტრის მზვერავები გაჩნდნენ რკინის გზის ლიანდაგის დასავლეთით, მაგრამ ჩვენის მზვერავების დანახვისათანავე უკან მიდიან. პოდესაულის გორბუნოვის მზვერავთა რაზმმა, რომელიც გაიჩოუდან ინკოუში იყო გაგზავნილი, გამოარკვია, რომ მარილის მაღაროებში, ტავალგიდან ლანციჩანამდე და უფრო ჩრდილოეთით იაპონელთა მზვერავები არიან. მტრის მოდარაჯე რაზმები არიან მაკუნძუიზი-ჯანხატუნის ჩრდილოეთით, ერთი ვერსის მანძილზე. პანხაი, სანგოიმი და ტავალგა უჭირავს იაპონელ რაზმს, რომელშიაც არის როგორც ქვეითა ჯარი, ისე ცხენოსანი და არტილერია. ნანტახეს შესართავთან მზვერავთა რაზმმა ჰნახა იაპონელთა გემი. ჩინელთა სიტყვით, ამ გემიდან იაპონელებმა სურსათი გადაზიდეს. 29 ივნისს ღამემ წყნარად ჩაიარა. ნანტახეს მარჯვენა ტოტის ცინსახეს ხეობიდან დილიდანვე ისმოდა სროლის ხმა. 30 ივნისს დილიდან იაპონელები წინ წავიდნენ დაშიცაოსკენ. მოწინავე რაზმებს შორის ასტყდა სროლა. დილის 9 საათზე იაპონელებმა სროლა დაიწყეს იმ ბატარეიდან, რომელმაც დაიჭირა უღელტეხილი მუგუისთან, ტანჩიდან 15 ვერსზე. 12 საათსა და 45 წუთზე იაპონელებმა ვეიძაისკენ წაიწიეს, ამასთან დარაჯთა წრეები დააყენეს კუტიძესა, მამუგაიასა და კომიგოუს პირდაპირ. ვეიძაის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბატარეია ყუმბარებს უშენდა უღელტეხილს. ნაშუადღევის პირველ საათზე იაპონელთა ერთმა როტამ დაიჭირა კაშიგოუ. ამ დროს ტაუნზაის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეებიდან იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს გზის მოდარაჯე რაზმს. მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ ამ მხარეს მოქმედებს იაპონელთა ორი ქვეითა პოლკი, ორი ბატარეია და ორ-სამი ესკადრონი. ერთი პოლკი და ბატარეია სდგას ხუანტუნლინთან. ამ პოლკის მოწინავე რაზმები ტაუნხანთან არიან. მეორე პოლკს ბატარეით უჭირავს კაშიგაუ-ვეძაის რაიონი. 29 ივნისს, გათენებისას, სამმა ყაზახმა, რომელნიც უღელტეხილზე გადავიდნენ მუგაისკენ, აღმოაჩინა თხრილები ზარბაზნებისთვის, ექვს ზარბაზნიანი სამთო ბატარეია და 11 როტა ქვეითა ჯარისა. სინგოუს აღმოსავლეთით, ტანჩიდან 23 ვერსზე, ჩვენი მზვერავები შეჰხვდნენ იაპონელთა ორ როტას. ერთი ყაზახი დაიჭრა და ერთიც უკან აღარ დაბრუნებულა. კაოლიატუნთან, ტანჩის სამხრეთით, მზვერავებმა შეამჩნიეს იაპონელთა ორი როტა; ეს როტები ხუდიაოს ხეობიდან გამოვიდნენ. ცაოძიატუნთან იაპონელთა ერთმა როტამ სროლა აუტეხა ჩვენ რაზმსა და სოტნას. იაპონელები თავს იყრიან სიახოტანის გზაზე, ტანჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 18 ვერსის მანძილზე. ამ ადგილებში უღელტეხილებზე გზები გაჰყავთ. 30 ივნისს კუტიძის მხრიდან ისმოდა ზარბაზნების სროლის ხმა. 28 ივნისს, ღამე, ჩვენმა რაზმმა დაზვერა ადგილები დალინისკენ. ამ რაზმმა გამოარკვია, რომ იაპონელებს მაგრა უჭირავთ მოწინავე პოზიცია სიაოგუშანთან და საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავთ სუნტოძისთან, დალინის უღელტეხილის წინ, დიდ გზაზე. ჩვენ ცხენოსანთა რაზმს სიაოგუშანის სამხრეთით შემოერტყა იაპონელთა ერთი როტა; მაგრამ რაზმმა გაარღვია მტერი. რაზმს მოუკლეს ერთი სალდათი და სამიც დაუჭრეს. სოტნიკმა გოროხოვმა, რომელიც სინგოუს მიდამოებში იყო დასაზვერად, გამოარკვია, რომ მტრის საკმაოდ ძლიერი ჯარი სიახოტანიდან მაგუიში მიდის. ფხანლილის უღელტეხილზე ცვლილება არ მომხდარა. ჩვენი მზვერავნი ერთხმად ამბობენ, რომ იაპონელნი დაზვერის დროს იცვამენ ჩინურ ტანისამოსს და იხურავენ ჩინურ ჩალის შლიაპებსაო. შეამჩნიეს აგრეთვე, რომ იაპონელთა სადარაჯო რაზმები მოჭრილ ტოტების მეოხებით თავებს იმალავენ. ლიაოიანის აღმოსავლეთით სიწყნარეა. იაპონელთა მოწინავე რაზმი სოფელ ტანტეისთან სდგას, ლიაოიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 50 ვერსზე. 30 ივნისს, დილით, ასტყდა სროლა ჩვენ სადარაჯო რაზმსა და იაპონელთა მზვერავ რაზმს შორის. იაპონელთა რაზმი იყო როტა ნახევარი ქვეითა ჯარი და ნახევარი ესკადრონი. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. იაპონელთ მოუკლეს და დაუჭრეს 10 კაცი, ამათ შორის ერთი აფიცერია. ერთი სალდათი ჩვენმა რაზმმა ტყვედ ჩაიგდო. მსროლელებმა ხელთ ჩაიგდეს იაპონელთა იარაღი და ამუნიცია. საიმაძის ჩრდილოეთით მყოფი იაპონელთა რაზმი ძიჩინსა და სიაოსირიდან მიდის. 29 ივნისს იაპონელებს ამ გზებზე ეჭირათ ფენშუილინისა და სიგოულინის უღელტეხილები. ორივე ეს უღელტეხილი საიმაძიდან ოცი ვერსის მანძილზეა; ერთი მდებარეობს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, მეორე ჩრდილოეთით“.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: გენერალი კუროკი დიდის სიფრთხილით უახლოვდება ლიაოიანის ველს. რომელ გზით მოდის უმთავრესი ჯარი, არავინ იცის. ამიტომ გენერლებს გრაფ კელლერს, მიშჩენკოს, კაშტალინსკისა და სამსონოვს ებრძანათ, კარგად გაიგეთ, სად რამდენი ჯარი ჰყავს გენ. კუროკისაო.

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა, გენ. კუროკის რაზმი—25 ათასი კაცი—მუკდენისაკენ მიდიოდა, მაგრამ ახლა უკან დაიწია. ჩინელი მზვერავები ამბობენ, თითონ გენ. კუროკი ფინშუილინის უღელტეხილზე, ლიაოიანის გზაზე იმყოფებაო.

„ნორდ შინა დეილი ნიუს“-ი (ჩინეთში გამოდის) იუწყება: იაპონელები ჰფიქრობენ, დაშიცაოსთან დიდი ბრძოლა მოხდებაო. („რ. ს.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. ჰფიქრობს, დიდი ბრძოლა გაიჩოუსა და დაშიცაოს შუა მოხდება სადმეო. ს. კ.—ს ანგარიშით, იაპონელ სარდლებს სამხრეთ მანჯურიაში, პორტ-არტურს გარდა, იმდენი ჯარი ჰყავთ: გენ. კუროკის ხუთი დივიზია, ანუ 105 ათასი კაცი ჰყავს და 226 ზარბაზანი აქვს; გენ. ნოძუს (დაგუშანის არმია) 4 დივიზია, ანუ 80 ათასი კაცი ჰყავს და 180 ზარბაზანი აქვს; გენ. ოკუს სამი დივიზია, ანუ 65 ათასი კაცი ჰყავს და 254 ზარბაზანი აქვს. იაპონელებს სულ 12 დივიზია, ანუ 250 ათასი კაცი ჰყავთ სამხრეთ მანჯურიაში და 660 ზარბაზანი აქვთო.

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელები დიდს პლანს ადგენენ. თუ ომმა მერმის ივნისამდე გასტანა, იაპონელები, ამ პლანის თანახმად, მილიონ ჯარს დააყენებენ ბაირაღ ქვეშაო. ამ ცნობის თაობაზე „ტაიმს“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ეჭვი არაა, იაპონია, თუ დასჭირდა, ერთ მილიონ კაცს დააყენებს თოფ ქვეშ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ იაპონიას 50 მილიონი მცხოვრები ჰყავს და 30 წელიწადია, რაც საყოველთაო სამხედრო სამსახური აქვს დაწესებული გერმანიის მსგავსადაო. („ბ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: იაპონელები ხუთის მილის მანძილზე დგანან პორტ-არტურიდან. მუდამ ხანგრძლივი ძლიერი ბრძოლა ხდება. იაპონელებმა ზოგიერთი სიმაღლე დაიჭირეს და ზედ საალყე ზარბაზნები დადგეს, ადმირალ ტოგოს ფლოტსა და პორტ-არტურის ესკადრას ახალი ბრძოლა მოუხდათო. („ბ. ვ.“).

ერთს უმაღლეს იაპონელ აფიცერს უთქვამს „ნაციონალ ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტისათვის: რამწამს პორტ-არტურს ავიღებთ, მაშინვე ალყას შემოვარტყამთ ვლადივოსტოკს. სხვა რომ არა ვსთქვათ, რუსეთი მარტო ამ მიზეზით ველარ გამოჰგზავნის ბალტიის ესკადრასაო. („ნ. ვ.“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: ადმირალ სკრიდლოვს პირობა ჩამოართვეს, რომ სიცოცხლე ადვილად არ გაიმეტოს და თავის თავი განსაცდელში არ

ჩააგდოს; ამიტომ რუსის ფლოტის უფროსი თითონ არ გადის ზღვაში. 18 ივნისს ადმირალი ვლადივოსტოკიდან ინკოუს წავიდა და ნაღმიან გემ „ლეიტენანტ ბურაკოვ“-ის უფროსს ბძანება გაატანა პორტ-არტურში ადმირალ ვიტგეფტთანაო. („რ. ლ.“).

ომის დაწყების უმალ, იაპონელებმა რუსის თავისუფალ ფლოტის გემები დაიჭირეს, მეზღვაურები-კი მომეტებულ ნაწილად გაანთავისუფლეს, მხოლოდ რამდენიმე აფიცერი დასტოვეს. ტყვედ, სხვათა შორის, გემ „ეკატერინოსლავ“-ის უფროსი, მე-2 რანგის კაპიტანი გ. სელეცკიც დასტოვეს. ბ-ნი სელეცკი თურმე ხშირად უგზავნის წერილებს თავის ნათესავებს ადესაში. ტყვე კაპიტანი ამ ჟამად კუნძულ სიკოკოზე, ქალ. მესიამაში იმყოფება. წერილებიდან სჩანს, რომ სელეცკი კარგ სუფთა სახლში დაუსახლებიათ; სახლს პატარა ეზო აქვს კოხტა ბაღჩით; ეზოს შუაგულში პატარა შადრევანია გამართული და ნიადაგ წყალი ამოსჩქეფს. თავის სუფთა, კოხტა დროებით სადგომს სელეცკი ხუმრობით „ოქროს გალიას“ ეძახის; სადგომის გარშემო მუდამ დარაჯები დგანან. რუსის კაპიტანთან ხშირად ადგილობრივ ქველმოქმედ საზოგადოების წევრი ქალები მოდიან და ხანდახან ყვავილის თაიგულებიც მოაქვთ. თუმცა ბ. სელეცკის ქალაქში სეირნობის ნება აქვს მიცემული, მაგრამ თითონვე არა სეირნობს, რადგან სეირნობის დროს დარაჯები მისდევენ. „ეკატერინოსლავ“-ის სხვა აფიცრებიც—ბ. ბ. კასიმოვი და რიბაკოვიც ბ. სელეცკისთან ცხოვრობენ. ტყვე აფიცრებს სამი რუსის ტყვე მატროსი და მზარეული ემსახურებათ, ეს მატროსები ნაღმიან გემ „სტერეგუშჩი“-დან არიან. („რ. ლ.“).

რუსის ტყვეებს იაპონელები კარგად ექცევიან. ცინჩოუსთან ბრძოლის დროს დაჭრილი კაპიტანი გ. იაპონელებმა დაატყვევეს. კაპიტანმა მოსწერა თავის ნაცნობებს, იაპონელები კარგად მექცევიანო. („რ. ვ.“).

იაპონელები ცინჩოუსთან ჩინელებს ამუშავებენ. დღეში თითო დოლარს აძლევენ ქირას და ღორის ხორცს იჭმევენ. ჩინელები ძლიერ ემადლიერებიან იაპონელებს („რ. ს.“).

ხმა დადის, ვითომ ხუნხუზები მანჯურიაში ოთხის ამერიკელის წინამძღოლობით მოქმედებენო. („რ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება ნიუ-იორკიდან: ამერიკელები ნაირნაირ აზრებს გამოსთქვამენ სამხედრო მოქმედების ვითარებაზე. ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო მიმომხილველი ამტკიცებს, წვიმების დროს სამხედრო მოქმედება შესდგებაო; ზოგი კი ჰფიქრობს, წვიმების პერიოდი ხელს ვერ შეუშლის ჯარების მოქმედებასაო. ეხლა გამოირკვა, რომ სიცხე რუსებს უფრო სწყინთ, ვიდრე იაპონელებს; ამიტომ იაპონელებს, ხელს არ მისცემთ ზაფხულში გაჩერება. ამერიკელები ჰფიქრობენ, სამხედრო მოქმედება დიდის ხნით მხოლოდ შუა ნოემბერში შესწყდება, რადგან იმ დროს ჩრდილოეთ მანჯურიაში ნამდვილი სუსხიანი ზამთარი დადგებაო. („პ. ვ.“).

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: აქ ამბავი მოვიდა, რუსეთმა სთხოვა საფრანგეთის მთავრობას, ბალტიის ესკადრას ნება მიეცით საფრანგეთის პორტებიდან ქვა-ნახშირი წაიღოსო. იაპონურმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ცნობას. გაზ. „ნიში-ნიში შიმბუნ“-ი სწერს ამის თაობაზე: ბალტიის ესკადრის გამოგზავნას დიდი მნიშვნელობა არ ექნება; სანამ ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთს მოვა, პორტ-არტური უექველად იაპონელების ხელში იქნება. რუსეთი, ალბად, ხალხის დასამშვიდებლად თუ გამოჰგზავნის ამ ესკადრას. მაინც სამწუხარო იქნება, თუ საფრანგეთი, რუსეთის თხოვნით, ნეიტრალიტეტს დაარღვევსო. („ნ. ვ.“).

ინგლისის ვიცე-კონსულმა მოახსენა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, ჩემულპოს ნავთ-სადგურში ამ ომის დროს მეტი ინგლისელი გემი მოვიდა, ვიდრე ომამდე მოდიოდაო. წლის დამდეგს ჩემულპოში 14 ინგლისელი გემი მოსულა, 22,702 ტონა წყალ-წყვისა. ამდენი ინგლისელი გემი ჩემულპოში არას დროს არ მოსულა. ამათგან ხუთმა გემმა მასალა მოიტანა სეულ-ფუზანის რკინის გზისათვის, ერთმა ნავთი, დანარჩენთ სხვა-და-სხვა საქონელი მოიტანეს. ამ ბოლოს დროს ჩემულპოს პორტში ვაჭრობა თვალსაჩინოდ გაძლიერდა; როცა სეულ-ფუზანის რკინის გზას დაამთავრებენ, მაშინ ხომ უფრო მეტად გაჩაღდება. ასე რომ იქნება ახლო-მომავალში ჩემულპო მსოფლიო ვაჭრობის ქალაქად გადაიქცეს. რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩემულპოში სხვა სახელმწიფოების ვაჭრობაც გაძლიერდა, სხვაგნებური გემიც მეტი მოვიდა ამ პორტში, ვიდრე კვლავ მოდიოდაო.

იაპონელ აფიცრების უკანასკნელი წერილები. როგორც ვიცით, ხარბინში ორი იაპონელი აფიცერი თოფით დახვრიტეს, სასჯლის წინ ორმავე აფიცერმა, რუსების ნება-რთვით, თავიანთ ნათესავებს წერილები მისწერეს: ეს წერილები პეტერბურგში ამერიკის საელჩოს გაეგზავნა და ამ საელჩომ კიდევ იაპონიის მთავრობას გადასცა.

აფიცერმა ოკიმ მისწერა თავის მშობლებს: „მამავ! თქვენ ყოველთვის მეტად სწუხდით ჩემთვის და მეტად გიყვარდით, მე-კი დღემდე ვერაფრით ვერ გადაგიხადეთ სამაგიერო; პირიქით, რაც მეტი ხანი გადიოდა, იმდენი უფრო მეტს შეწუხებას გაყენებდით. ეხლა კი, აღსასრულის დღე მომივიდა, ჩემი ბედი გადასწყდა. დიდს საქმეს ვაპირობდი მანჯურიაში, მაგრამ რუსებს ჩავუვარდი ხელში; 5 წამის შემდეგ უნდა სული დავლიო; ჩემს სიცოცხლეს ჩემ სახელმწიფოსა ვსწირავ; სანანებლად მხოლოდ ისა მაქვს, რომ ჩემი საქმე ვერ შევასრულე. ეხლა, უკანასკნელ წამსა გთხოვთ, ჩემო საყვარელო მშობლებო, დამივიწყეთ და თქვენის გულიდან ამომგლიჯეთ“.

მეორე აფიცერმა იოკოკავამ თავის ორ ვაჟი-შვილს მისწერა.

„საყვარელო შვილებო, მამა-თქვენი, ჩვენის ხელმწიფის ბძანებით, მანჯურიაში წავიდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა: რუსის სალდათებმა დამიჭირეს. სიკვდილი მაქვს გადაწყვეტილი და აი ეხლა თოფის წინა ვსდგევარ. ესეთი ბედი შემხვდა წილად. უნდა გიხაროდეთ, რომ მამა-თქვენი სამშობლოს გულისათვის კვდება. კარგად ისწავლეთ, რომ კარგი კაცები დასდგეთ; დედა გიყვარდეთ. მეტი არა მაქვს-რა სათქმელი. დედასა დ თქვენ მომავალში ჩვენი მთავრობა დაგეხმარებათ“. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

◆ 26 ივნისს მოხდა პირველი სხდომა ამიერ-კავკასიის **რკინის გზის სასანიტარო კომისიისა.** სხვათა შორის, კომისიამ დაადგინა: 1. დაავალოს ექიმებსა და ფერშლებს, თვალყური ადევნონ სახალხო მატარებლებს ბაქოსა, აჯიქაბულისა, ერევნისა და ულუხანლუს სადგურებზე: 2. იქონიოს ამ სადგურებზე თითო სასანიტარო ვაგონი და თითო სადეზინფექციო კამერა და 3. გააძლიეროს ამავე სადგურებზე სადეზინფექციო საშუალებანი და გაიჩინოს სხვა-და-სხვა წამლები. ამას გარდა მოქმედებას შეუდგნენ ყველგან მცირე სასანიტარო კომისიები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიწვია სამი-ოთხი ფირმის წარმომადგენელი და სიტყვიერად გამოჰკითხა, რა პირობებით შეუძლიანთ იკისრონ **ქუჩებში ფარნების გამართვა.** მოლაპარაკების შემდეგ გამგეობამ დაადგინა, მოსთხოვოს ფირმების წარმომადგენელთ წარუდგინონ გამგეობას თავიანთი პირობები. ამის შემდეგ გამგეობა გადასწყვეტს, რომელს ფირმას გადასცეს ქალაქში ფარნების გამართვა. ამისთვის საბჭომ გადასდო 30,000 მან.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** მისწერა ქალაქის გამგეობას, რომ საქალაქო დებულების მე-103 მუხლის თანახმად არ არის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალთა საპროფესიონალო სასწავლებლის გამგედ უნდა დაინიშნოს კაცი; ამიტომ განიხილეთ ეს საქმე და პასუხი შემატყობინეთო.

◆ ფინანსთა სამინისტროს 80,000 მანეთი ჰქონდა გადადებული ქუთაისში ადგილობრივ სახაზინო პალატისთვის შენობის ასაგებად. **ომის გამო** შენობის აგება სხვა დროსთვის გადაიდო.

◆ 1 ივლისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე მოსე აბრამოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა **სომეხთა მწერლის ალექსანდრე თარხანიანის მოკვლა**. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ეს მკვლელობა მოხდა ბათუმში შარშან, 29 ივლისს. ოლქის სასამართლომ აბრამოვს გადაუწყვიტა 10 წლით კატორღაში გაგზავნა. პალატაში ბრალდებულს იცავდა ბ-ნი ოპოჩინინი. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

◆ ტფილისის გუბერნატორს განუზრახავს **ტფილისის ამქართა** რიცხვის შემცირება. ამ ჟამად ტფილისში 57 ამქარია. გუბერნატორმა წინადადება მისცა უსტაბაშების კრებას, ერთმანეთში მოილაპარაკონ და რამდენიმე ამქარი შეაერთონ. ამ საქმის გადასაწყვეტად ორშაბათს, 5 ივლისს, უსტაბაშების კრება მოხდება.

◆ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ ნება დართო გორის მაზრის სოფელ **ერთაწმინდის გლეხებს** ისარგებლონ საქონლის საძოვებლად იმ სახელმწიფო ადგილებით, რომელიც დასახელებულ სოფელში მდებარეობს.

◆ წარსულს სამოსწავლო წელს ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებელში სწავლობდა 198 მოსწავლე. 88 ქართველი იყო, 60—რუსი, 39 სომეხი, 6 სექტანტი და 5 პოლონელი. სწავლა დაასრულა 20 მოსწავლემ. 16 ატესტატი მიიღო, ხოლო 4—მოწმობა.

◆ შერემეტიევის ქუჩაზედ, ჩხუბის დროს, სპარსეთის ქვეშევრდომმა აშინ-დარშპად-ოღლის ბებუთით გვერდსა და ხელში მძიმედ დაუჭრია ტფილისის მოქალაქე დარჩო პაპულოვი. დამჭრელი სადღაც გადამალულა.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს რიყეზედ არხის შესაკეთებლად.

ს. ბ. თოფურიას დასაფლავება

ოთხშაბათს, დილიდანვე, ქუთაისის საზოგადოება გაემართა ს. თოფურიას საავადმყოფოსაკენ. თუმცა გამოსვენება დილის $9^{1}/_{2}$ საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ ყველას უნდოდა ადრიანად მისულიყო, რომ მიცვალებულის ცხედართან ახლოს დაეჭირა ადგილი. ქალაქის გამგეობამ წინადვე იცოდა, რომ ასე მოჰხდებოდა და ამოარჩია ათის კაცისაგან შემდგარი კომისია წეს-რიგის დასაცველად. ეს კომისია პოლიციასთან ერთად

ფელეტონი

გაუგზავნელი წერილები

(სხვა-და-სხვა ქაღალდების კონიდან)

(შჩეპკინა კუპერნიკისა)

ეპიგრაფის მაგიერად

„...ოდესმე გიფიქრიათ, რამდენი დამზადებული წერილი რჩება გაუგზავნელი? მათ მაგიერად სხვა იგზავნება, მაგრამ ხშირად ეს წერილები დიდ-მნიშვნელოვანნი არიან. მათ ჩასჩურჩულებს გატაცებული გული, სინიდისი და ყოველ შემთხვევაში სიწრფელე. შემდეგ კი ეხმარება გონება, ცხოვრების ჩვეულებანი, „მხსნელი სიცრუე...“ და ნაცვლად უსწორ-მასწორად, მთრთოლვარეს ხელით დაწერილ სტრიქონებისა, რომელსაც „გული“ ჩასძახოდა დამწერს, წმინდათ, გარკვევით სწერს გონება. რამდენი ნაკლულევანება და სიცრუე ამოიფხვრებოდა დედა-მიწიდან, ყველა გაუგზავნელი წერილი რომ დანიშნულებისამებრ იგზავნებოდეს!..

I

გაუგზავნელი წერილი

(შეცდომებითა და უნიშნებოდ დაწერილი)

„ჩემო მშვენიერო დედუკუნა, ჩემო ოქრო, ჩემო ანგელოზო, რაა რომ ამდენს ხანს წერილი არ მომწერე, ნუ თუ დაივიწყე შენი გოგონა, როდისღა მოხვალ ჩემო ძვირფასო დედიკო? მე აქ არაფერი არ მომწონს, არც სადგომი, არც ქუჩები და არც არაფერი. შენ მეკითხებოდი, როგორ მოგაწყე ჩემი დედოფალები, სულაც ვერ მოვაწყე, რადგან „მადმაზელმა“ ნება არ მომცა [illegible] დამეწყო, როგორც ჩვენსა გვქონდა; მეუბნება, [illegible] [illegible] ოთახში, ამ ნებივრობაა, დიდი ხარ, ათის წლისა გახდიო. მამამ კი მითხრა ყველაფერი დაუჯერე „მადმაზელს“, უთუოდ ის ხშირად მიჩივის მამასთან იმიტომ, რომ სადილს შემდეგ ორივენი ჩაიკეტებიან კაბინეთში და მე კი მამა სულაც ნებას არ მაძლევს იქ შესვლისას,—ქაღალდებს აურევო. უთუოდ მადმაზელი მიჩივის მამასთან. ამ დროს მე და გამდელი ფეჩთან ვზივართ საბავშვო ოთახში და ვთბებით. აქ ძალიან ცივა და ჩემი ოთახიც ბნელია. გამდელს ვეცოდები, მხოლოდ რისთვის მეუბნება „ჩემო საწყალო ობოლო“-ო, ობოლი ის არის, ვისაც დედ-მამა არა ჰყავს, მე ხომ მყავს მამა, შენც მყავხარ, ჩემო დედიკო, შენ ხომ შემპირდი დიდ-ხანს არ დარჩები და როგორც კი კარგად იქნები, მოხვალ. დედა, ჩემო დედა, ამდენს ხანს როგორ ვერ მორჩი, მე ასე საშინლად მოწყენილი ვარ უშენოდ. მე ახლა ყველაფერს ვკითხულობ. ვკითხულობ „რადნიკ“-ს. ამ წინაზე კიდევ გამოვიტანე ლუიზა ოლკოტი, „პატარა მანდილოსნები“, ძალიან მომეწონა, ისინი კარგად ცხოვრობენ და დედაც იმათთან არის. გამდელმა მიყიდა ორი კანარეიკა, მაგრამ ერთხელ გალია გაუღეს, ფანჯარაც ღია იყო და კატი, ე. ი. ქმარი გაფრინდა, ცოლი კი ამ დროს კვერცხებზე იჯდა, დამავიწყდა მეთქვა შენთვის, რომ ჩვენ იმათ გალიაში ვუყრიდით სხვა-და-სხვა ნაჭრებს, ბუმბულს, თივას და ყველაფერ ამისთანას, იმათაც გაიკეთეს ბუდე და კვერცხები ჩასდეს შიგ. დიდხანს ისხდნენ კვერცხებზე, ცოტაც უნდა მოეცადნათ და უთუოდ პატარებიც გამოიჩეკებოდნენ. ამ დროს მამალი გაფრინდა, დედალმაც გული აიყარა კვერცხებზე, მთელი დღე [illegible] [illegible] [illegible] წრიპინებს და [illegible] აღარ [illegible] [illegible] კვერცხებს. მამალიც დედუკუნა ასე ცუდათ რომ ვწერ, მინდა ყველაფერი გიამბო, რასაც ვშვრები. აქამდე კი ვერას გზით ვერ მოვახერხე მომეწერა შენთვის. ხანდახან ისე გავხდები, რომ სულ ვტირი, არაფერი არ მომწონს აქა, მე გავიგე, რომ გამდელი უნდათ გაისტუმრონ. დედი, მოსწერე მამას, რომ არ გაისტუმროს, თორემ ვიღასთან ვილაპარაკებ შენზე! როგორც კი შენზე ვკითხავ რასმე მამას, ისეთ მწყრალ სახეს მიიღებს, რომ შემეშინდება, მადმაზელთან ხომ არც კი მინდა ვილაპარაკო რაზედმე, ის სულ მუდამ მიყვირის და სახაზავს მარტყამს ხოლმე ხელებზე. როცა მამა გვიყურებს, მაშინ კი ოხრავს თავზე ხელს მისვამს და „ma pauvre enfant“-ო, მეუბნება. არ მინდა რომ ის მიბრალებდეს, მე ის არ მიყვარს, კარგად ვიცი, რომ ამას სულ განგებ შვრება. და როცა მამას ვუთხარი, სახაზავს მარტყამს-მეთქი, საშინლად გამიჯავრდა, მითხრა, რომ აღარ გავბედო სიცრუე და ბნელ ოთახში ჩამკეტა. ბნელ ოთახში ძალიან მეშინოდა, სულ ვკანკალებდი, ვტიროდი და სულ გეძახოდი „დედიკო მიშველე“-მეთქი“ და უფრო გავმხნევდი. დედა, ჩემო ძვირფასო, თუ შენ არ შეგიძლია აქეთ მოსვლა, მე წამიყვანე შენთან, წამიყვანე, ჩემო დედუკუნა ისევ ჩვენს უწინდელ სადგომში, შენს ოთახში, ისევ ობლად ვიქნები, კარგად,—და გამდელიც წაიყვანე. მე მოწყენილი ვარ უშენოთ და უმოპიკოთ, მინდა ვნახო ძია ლელიაც, აქ ჩემთვის არავის სათამაშოები არ მოაქვს, არ მანებივრებენ, ყველა მიყვირის, რომ დიდი ვარ და რაც უნდა ვქნა, ყველაფერი სირცხვილია. არც შობის ხე გამიმართეს წელეულს. არავინ არ ყოფილა ჩვენსა, მამაც მადმაზელი სტუმრად წავიდნენ, მე და გამდელი ერთად დავრჩით, შრიანიკები ვჭამეთ და კლიუკვის კვასი ვსვით, ეს იყო ჩვენი ბალი, მე ბევრი ვიტირე, რომ შენ არ იყავი ჩემთან. დედიკო, შენ ნურას ეტყვი მამას, მაგრამ თუ შენ არ მოხვალ ან არ წამიყვან შენთან, მოვკვდები, მეტი არ შემიძლიან ასე. ჩემო ძვირფასო ანგელოზო. გკოცნი 30,000,000,000,000 მილიონჯერ თვალებშიაც, ტუჩებშიაც და ცხვირზედაც, ჩემო დედუკუნა. ჩქარა წაიყვანე შენი გოგონა!

შენი შვილი მარუსია.“

გაგზავნილი წერილი (წმინდად გადაწერილი უშეცდომებოდ).

„ძვირფასო დედა! მოგილოცავთ დღესასწაულს და გისურვებ, რომ მალე გამომრთელდეთ. მე ძალიან კარგად ვარ, ბევრი გაკვეთილები მაქვს, ვსწავლობ პიანინოზე დაკვრას. ვამზადებ თქვენთვის მადმაზელ ბერტას დახმარებით მშვენიერს ქსოვილს. მადმაზელ ბერტა ძალიან კარგად მექცევა, აგრეთვე მამა ჩემიც. აქ საუცხოვო დარებია. დიდის პატივისცემით გკოცნით, ძვირფასო დედა, და მოუთმენლად ველი თქვენგან თქვენის კარგად ყოფნის ამბავს. თქვენი მოსიყვარულე და მორჩილი შვილი.

მარია.“

II

გაუგზავნელი წერილი

„მე შეგპირდით პასუხი მოგწეროთ, ამიტომ გთხოვეთ დრო მოგეცათ ჩემთვის, რომ მომეფიქრნა. ვიცი, თქვენ ამან გაგაკვირვათ. თქვენ ელოდით საჩქაროდ მიიღებდით სასიხარულო თანხმობას. რასაკვირველია: მე, მშრომელი ქალი, სრულიად უპატრონო, თქვენ-კი სახელგანთქმული ვექილი, ნიჭიერი, ლამაზი... და ამასთან ცხადათ დარწმუნებული, რომ არა მარტო ერთად-ერთი [illegible] [illegible] მიჰყვედა,

ოველ ღონისძიებას ჰხმარობდა, რომ წესიერება დაეცვა; მაგრამ ბევრს ვერას გაჰხდა უთვალავს ხალხში. გაგარინის ქუჩიდან აწყებული ბაქრაძეებისა და სომხების ქუჩა ალხით გაიჭედა, მხოლოდ ვიწრო საეტლე ზა იყო შუაზე დატოვებული; აივნები, ანჯრები, სახლის სახურავები, ქვის ღობეები სავსე იყო ხალხით; გაჭედილი იყო აგ- აავადმყოფოს ბაღი და თვით საავად- ოფო. $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდის დაწყება- ის, ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქი- ანიძემ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა და აღნიშნა ის დასაკლისი, ის სიცალიერე, რომელსაც ჰგრძნობს არა მარტო უთაისი და ქართველი ერი, არამედ მთელი ავკასია, განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა. სიტყვის შემდეგ გელათისა და მოწამეთის არქიმანდრიტებმა სამღვდელოების ახმარებით გადაიხადეს პანაშვიდი, რომლის შემდეგაც გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა, ქალაქის მოურავმა და სხვა-და-სხვა ადგილების წარმომადგენლებმა ავადმყოფოდან გამოასვენეს კუბო. რამდენადაც შეიძლებოდა, პროცესიის წეს-რიგი ამგვარად იყო დაცული: წინ მიდიოდნენ ანქრები ბაირაღებით, შემდეგ ხელით მიჰქონდათ გვირგვინები, რიცხვით 70-მდე (ამათში სამი ვერცხლის გვირგვინი იყო: თავად-აზნაურობის, ქალაქისა და ვაჭრობისა); ამათ მიჰყვებოდნენ: თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, სხვა-და-სხვა ადგილების დეპუტაციები, ქალაქის საბჭოს და გამგეობის წარმომადგენელნი, სამღვდელოება, კუბო, მიცვალებულის ნათესავები, საავადმყოფოს მოსამსახურეები, საპატიო პირნი, ორი ცარიელი ბალდახინი, შავებით შემოსილი, მიცვალებულის საშინაო ეტლი და ბოლოს დანარჩენი საზოგადოება. მიცვალებული მიასვენეს საკათედრო ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ დეკ. გ. ცაგარეიშვილმა წაიკითხა სიტყვა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ გამოგზავნილი, რომელიც, ქუთაისში არ ყოფნის გამო, გასვენებას ვერ დაესწრო. ტაძრიდან კუბო გამოიტანეს მოედანზე და იქ შავით შემოსილს სტოლზე დაასვენეს. მოედანზე გაკეთებული იყო წრე, სადაც წინ რკალივით ჩამწკრივებულნი იყვნენ გვირგვინების დამჭერნი და უკან მდგომს საზოგადოებას წრეში არ უშვებდნენ. აქ რიგ-რიგად სიტყვები წარმოსთქვეს: ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ, აკაკიმ, ი. მ. ჩიქოვანმა და სპ. ნორაკიძემ. აქედან პროცესია გაემართა მიცვალებულის სამკურნალოსაკენ გიმნაზიის ქუჩით. სამკურნალოს წინ კუბო დაასვენეს შავით შემოსილს მაგიდაზე. იქ სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა გ. ბოკერიამ. სამკურნალოდან მიცვალებული უკანვე წამოასვენეს მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში დასასაფლავებლად. სასაფლაოს წინ სიტყვები წარმოსთქვეს: ტფილისიდან ჩამოსულმა ექიმმა ბ-ნმა ვირსალაძემ, თ. ხუსკივაძემ, ნ. მკურნალმა (წაიკითხა კ-ნი ქ. დგებუაძის ლექსი), მ. ხოჯაშვილმა და სხ. შემდეგ კუბო ცივს სამარეს მიაბარეს და თვალ-ცრემლიანი, ძვირფას სამსონის დაკარგვით დაობლებული, რაღაც სიცალიერის მგრძნობი საზოგადოება ნელ-ნელა დაიშალა.

დონ-ვალიანი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

1 ივლისი.

ამ საღამოს უკანასკნელი კრება იყო ქალაქის საბჭოსი. კრების დაწყებისავე „მემარჯვენეთ“ რაღაც მოუსვენრობა დაეტყოთ, მალ-მალ დგებოდნენ, კარიდორში გადიოდნენ, ისევ ბრუნდებოდნენ და ყოყმანობდნენ. ეტყობოდათ, წასვლას აპირებდნენ, მაგრამ საქმის მწარმოებელი მარჯვედ ადევნებდა თვალყურს და ხვეწნა-მუდარით უკანვე აბრუნებდა. „მემარცხენეთა“ შორის ზოგი ფხიზლობდა საქმის გარჩევის დროს, ზოგი კი ისე იყო, უთუოდ სიცხისაგან, დათენთილი, რომ ხმა-გაკმედილი იჯდა. ორიოდე ხმოსანი დაურიდებლად გაჰჭიმულიყო და ფეხები იქვე თავისუფალ სკამებზე გაედო. „ცენტრში“ კარგი მაგარი ხვრინვაც ისმოდა. თავმჯდომარე, თავ. ჩერქეზიშვილი, ფიცხობდა, ხმა მაღლა ეხმაურებოდა ხმოსნებს, აფხიზლებდა, ეხვეწებოდა: მოითმინეთ, უკანასკნელი სხდომაა დღეს, ცოტა-ღა დაგვრჩენიაო. ასეთ მდგომარეობაში კიდევ კარგი, რომ საბჭომ 12—13 საქმიდან ხუთი-ექვსი საქმის განხილვა მოასწრო. კრების დაწყებისას ხმ. იოანესიანი შეეკითხა თავმჯდომარეს: როგორც შევიტყეთ, ქალაქის გამგეობის მიერ დათხოვნილ მასწავლებლის ქ-ნ ჩიქოვანის შესახებ დადგენილებას სახალხო სკოლების დირექტორი არ ეთანხმება და შეგვატყობინეთ, გამგეობა რასა ფიქრობს ამის შესახებაო. თავმჯდომარემ განაცხადა, გამგეობა სცდილობს თვისი დადგენილება სისრულეში მოიყვანოსო. ქ-ნი ჩიქოვანი ქალაქის გამგეობამ დაითხოვა ურჩობისა და დისციპლინის დარღვევისათვის. ამას წინად გამგეობამ მოსთხოვა ქ-ნ ჩიქოვანს, დაებრუნებინა ბაღის გასაღები იმ სახლის პატრონისათვის, სადაც მოთავსებულია ქალაქის სკოლა, რომელშიაც ჩიქოვანი იყო გამგედ. მოურავის მოადგილემ რამდენჯერმე სთხოვა ოფიციალურად ქ-ნ ჩიქოვანს, მისულიყო გამგეობაში საქმის განსამარტებლად, მაგრამ ჩიქოვანისა არც ერთხელ არ გამოცხადებულა. ეს გამგეობამ, სხვათა შორის, საბუთად გამოიყენა და მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვა. სახალხო სკოლების დირექტორი ამას არ დაეთანხმებულა, საკმაო მიზეზები არა აქვს გამგეობას, რომ ჩიქოვანი დაითხოვოსო. ხმ. ხუდადოვმა და სხვებმა სთხოვეს საბჭოს, ყურადღება მიაქციოს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობამ სატელეგრაფო და სატელეფონო ბოძები ქუჩებში სასურველ ადგილებში დაადგმევინოს ხოლმე და ამას გარდა თვით ბოძებიც უშნო და ულაზათო არ იყოს.

შემდეგ საბჭომ განიხილა ლომბარდის 1903 წლის მოქმედების ანგარიში. ამ წელს ლომბარდს წმინდა მოგება ჰქონია 15,000 მან. ამას წინად უკვე დავბეჭდეთ გამგეობის დადგენილება ამ მოგების განაწილების შესახებ. სხვათა შორის, მოგებიდან 1200 მან. გადადებულია ლომბარდის მოხელეთა დასაჯილდოვებლად. ანგარიშთან ერთად საბჭომ განიხილა შუამდგომლობა ლომბარდის გამგისა 350,000 მანეთის საობლიგაციო სესხის გამოცემის შესახებ. ეს ფული უნდა მიეცეს ლომბარდს საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად. საბჭომ დაამტკიცა ლომბარდის ანგარიში და გამგეობის დადგენილება მოგების განაწილების შესახებ. რაც შეეხება სესხის აღებას, ამ საგნის განხილვა საბჭომ გადასდო იმ დრომდე, ვიდრე არ გადასწყვეტს ქალაქის საჭიროებათათვის განზრახულ დიდ სესხის აღების საქმეს. ამის შემდეგ საბჭომ განიხილა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის წინადადება.—თუ ვინიცობაა ქალაქმა კონცესიონერებისაგან, რომელთაც სოლოლაკის გორის ქვეშ გვირაბის გათხრა იკისრეს, საკონცესიო ვადამდე ტუნელი გამოისყიდა, ქალაქმავე უნდა იკისროს კონცესიონერთა ყველა ვალდებულებაო. საბჭომ ნაადრევად სცნო ამ საკითხზე მსჯელობა იქონიოს და დაადგინა, ამ საგანზე მოილაპარაკოს მაშინ, როცა ქალაქი ტუნელს გამოისყიდის საკონცესიო ვადამდეო. „ვაკეს“ მცხოვრებთ სთხოვეს ამას წინად ქალაქის გამგეობას, „ვაკე“ ქალაქს შემოუერთოს. გამგეობას დაუდგენია, სთხოვოს საბჭოს, ამორჩეულ იქნას განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა გადაიღოს გეგმა ადგილებისა, მოელაპარაკოს მცხოვრებთ ხარჯის გაღების შესახებ ქუჩების მოსაკირწყლავად და სხვ. საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება, მაგრამ ამ დღეს კომისიის წევრთა არჩევანი ველარ მოასწრო. თავ. ბებუთოვებს ავლაბარში ადგილები გაუყიდნიათ და ქუჩის გასაყვანად დაუტოვებიათ 5 საჟენი ადგილი. შემდეგ საქუჩე ადგილი ისე შეუვიწროვებიათ იქ მცხოვრებთ, რომ 2—3 საჟენი-ღა დარჩენილა. ხმოსანთა შორის ამ საკითხმა მწვავე კამათი გამოიწვია. საბჭომ დაავალა გამგეობას, მიიწვიოს ტეხნიკოსი და იურისტი-ხმოსნები და ადგილობრივ გასინჯოს ეს ადგილი.

რუსეთის ქრონიკა

◆ უმაღლეს მთავრობის წრეებში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ ქ. მოსკოვში და საგუბერნიო ქალაქებში დაწესებულ იქნას განსაკუთრებული თანამდებობა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისა. მიზეზი ამ ახალ თანამდებობის შემოღებისა ის არის, რომ ქალაქის მოურავნი, რომელნიც ამ ჟამად საბჭოებში თავმჯდომარეობენ, ძალას ატანენ ხმოსნებს და გადაჭარბებით სარგებლობენ თავმჯდომარის უფლებით. საბჭოს თავმჯდომარეს კენჭის ყრით აირჩევენ. რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამ რეფორმას 1905 წელს შემოიღებენ.

◆ „რუსკ. სლ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ოდესიდან, რომ იქ ომის დაწყების შემდეგ პირველად მიუტანიათ ჩინეთიდან გემ „ცარ“-ით ჩაის დიდი ტვირთი. ეს ჩაი პორტსაიდამდის გერმანიის გემს მიუტანია.

◆ „ს.-პეტ. ვედ.“-ის სიტყვით, სამარის გუბ. დაბა პოკროვსკის ქველმოქმედმა ქალებმა განსაკუთრებულის პატრიოტიზმით გაითქვეს სახელი. მრავალი საცვალი მიაქვთ თურმე საწყობში შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად, ყველას ეუბნებიან, საკუთარის ჩვენის ხელით შეგვიკერიაო და მორცხვად ისმენენ თავის ქება-დიდებას. ამ ბოლო დროს აღმოჩენილა, რომ საუცხოო ქველმოქმედნი ღარიბ მკერვალ ქალებს აკერვინებენ უსასყიდლოდ საცვლებს, გრძნობიერ სიტყვებით გულს ულბობენ და ამ ღარიბ ქალთა ნაღვაწით თავისდა სასახელოდ სარგებლობენ.

წერილი ბელგიიდან

(უკანასკნელი არჩევნები ბელგიაში)

29 მაისს დამთავრდა არჩევნები ბელგიის პალატის დეპუტატთა მეორე ნახევრისა. როგორც ქვემოდ დაინახავს მკითხველი, შედეგი ამ არჩევნებისა სასარგებლო არ აღმოჩნდა ბელგიის მუშათა დასისათვის. მუშათა დასმა დაჰკარგა ექვსი მანდატი და მიიღო 9,000 ხმით ნაკლები, ვიდრე 1902 წელს, თუმცა საზოგადო რიცხვი ამომრჩევლებისა 1902 წელთან შედარებით 100,000 ხმით მეტი იყო.

დამარცხდნენ სოციალისტები და გაიმარჯვეს ლიბერალებმა.

ბელგიის ლიბერალიზმი, რომელიც ბევრს არამცთუ დროებით მიძინებული, თითქმის სრულიად მომკვდარი ეგონა, უცბად გამოფხიზლდა და ისეთის სიცოცხლით წარსდგა ფეხი საარჩევნო ტრიბუნის წინაშე, რომ წვრილ ოპოზიციონურ დასებს კი არა, თვით სოციალ-დემოკრატთა დასსაც უნდა მოეხარა ქედი. ასეც მოხდა: ის სოციალიზმი, რომელიც 1893—1900 წლამდის წარმოუდგენელის სისწრაფით მიდიოდა წინ და ერთი გამარჯვებიდან მეორეზე გადადიოდა, 1900 წლიდან ამნაირი მსვლელობა უცბად შეიცვალა და გამარჯვების მაგიერ თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე დამარცხება დაჰხვდა. რამ გამოიწვია ასეთი დამარცხება სოციალისტთა და რამ გამოიყვანა გამარჯვების გზაზე თითქოს საიქიოსაკენ გამგზავრებული ლიბერალიზმი?

მეორე კითხვის საპასუხოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ამომრჩეველთა ერთი ნაწილი თან და-თან ჩამოშორდა კლერიკალურ დასს, იმ დასს, რომელიც ყოველთვის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და რომლის რეაქციონურმა პოლიტიკამ შექმნა საკმაო რიცხვი უკმაყოფილოთა. მაშ საით უნდა წასულიყვნენ უკმაყოფილონი, ვის უნდა მიჰკედლებოდნენ არჩევნების დროს? თუ წარმოვიდგენთ ამ უკანასკნელთა წვრილ ბურჟუაზიულ და ნახევრად კლერიკალურ იდეალოგიას, ადვილი გასაგები იქნება, რომ ისინი ლიბერალებს მისცემდნენ თავის სა-

---

მთელი ჩემი მოცლილი დრო თქვენთვის შემეწირა, გრძელი საღამოები თქვენთან მჯდარვიყავ ჩემს პატარა ოთახში...

საამო, სანეტარო საღამოები, რომელნიც ისე ნათლადა ჰფენდნენ ჩემს საცოდავს ოთახს,—საღამოები, როდესაც ცეცხლ-ჩამქრალ სამოვარის ოდნავი შიშინი ცაურ ჰანგებად მეჩვენებოდა, ხოლო ნაცრის ფერ შპალერით აკრული კედლები —ალადინის სასახლედ... ნუ თუ არასოდეს აღარ განმეორდებიან ის საღამოები?!.. აღარ უნდა განმეორდნენ, თუ მსურს, რომ პატიოსან ადამიანად დავრჩე. დიახ, თქვენ შეგეძლოთ გეფიქრნათ, რომ მე მიყვარხართ და აღტაცებით დავსთანხმდებოდი თქვენს ცოლობას. თქვენ მართალი ხართ, მე მიყვარხართ თქვენ... მაგრამ არ შემიძლიან და არც უნდა გიქმნე თქვენი ცოლი. ვერა გბედავ პირ-და-პირ გითხრათ ეს; დავინახო, როგორ დაგემიჭნებათ სახე იმ ნაცნობ, ცოტაოდნად ბავშურად გაბუტულის გამომეტყველებით, რომელიც ასე უხდება და შვენის მაგ მშვენიერს სახეს... მეშინიან, რომ სიმამაცეს დავკარგავ და ვერ გეტყვით იმას, რის თქმაც ვალადა მდევს. მე მიყვარხართ თქვენ! ისე მიყვარხართ, როგორც მხოლოდ ერთხელ უყვართ სიცოცხლეში, მშობლიურის სინაზით, მეგობრულის პატივისცემითა და შეყვარებულის გატაცებით... მინდა, მწყურიან ყველა ამად ვიყო თქვენთვის... მაგრამ... შემიძლიან-კი? გიქმნები-კი? აქ, ამ პატარა და მყუდრო ქალაქში, წყლის ნაპირას, მოხუც დეიდა-ჩემის მყუდრო სახლში დრო მაქვს ყველაფერზე ვიფიქრო. თქვენ მითხარით: „არა, წერილი არ მინდა, ერთს სიტყვას მოველი დეპეშით: მოდით, და ეს იმის ნიშანი იქმნება, რომ თქვენ სამუდამოდ ჩემი ხართ“!-ო... მე კი მაინც გიგზავნით ამ წერილს.

ოდესღაც ერთი გერმანული რომანი წავიკითხე. თვითონ რომანი არაფერი შვილი იყო, მაგრამ იმის შინაარსმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე... აი, რა ეწერა იქ.

ერთ უმაწვილ კაცსა და გასათხოვარ ქალს წმინდა სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი. ჯვარი უნდა დაეწერათ და ამ დროს შეცრად შეიტყო საქმრომ, რომ იმის უმანკო საცოლოს... სხვა უყვარდა და ქალმა თავის უმანკოებაც ამ კაცს მისცა. საქმრო გააბრაზა იმ კომედიამ, რომელიც ქალმა ასე ურცხვად ითამაშა იმასთან —„თავის თავს წმინდასა და უმანკო ქალიშვილს უწოდებდა“ —და საქმრომ უარი უთხრა. ყოველი ოცნება ახალ, წმიდა ცხოვრებაზე დაეღუპა ქალსა... მაგრამ ღონე არ შესწევდა მოეშორებოდა საყვარელ კაცს და ამიტომ იმის საყვარლად გაჰხდა. მორჩა და გათავდა, არა? აი, სწორედ ამ რომანმა ჩამაფიქრა მე დიდ-ხანს. იცით რა არის: ქალისათვის ეს კომედია-კი არა, საშინელი ტრაგედიაა... და მე გეტყვით თქვენ რისთვისაც კამედიანტკა არ შეიძლება ეწოდოს იმ ქალს, რომელიც ასე ატყუებს თავისს საქმროს, ქმარს. თქვენ არ იცით, რა არის ქალიშვილის ზნეობითი დაცემა, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ დაიჯერეთ: არასოდეს ეს არა ჰხდება ქალის ნებითა და შეგნებით, „სრულს მეხსიერებასა და გონებაში მყოფობის დროს“. მე არას ვამბობ იმგვარ შემთხვევებზე, როდესაც ქალი ისეთს კაცს უახლოვდება, ვისაც არ შეუძლიან იმის შერთვა,—მაგალითად, ცოლიანს ანა და ებრაელს, რომელსაც პრინციპის გამო არ შეუძლიან სჯულს უღალატოს. ეს იგივეა, რაც ჯვარის წერა, და ამას არც ზნეობით დაცემა ეწოდება. უზნეობა ის არის, რასაც ჰფარვენ, რასაც უმალვენ თავიანთ თავსაც-კი, რასაც საზიზღარი ლაქა აცხია და რაც ადამიანის სულს ფრთებს აკვეცავს. ქალიშვილი ასეთ საქმეში პასუხის-მგებელი, დამნაშავე არ არის. ჩვეულებრივად ეს ქალისათვის მძიმე მაჯლაჯუნაა და ამასგან განთავისუფლებას ყოველ-გვარად სცდილობს. მათდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ქალებმა დავიწყება იციან. პირველად, ნამდვილად შეყვარებულ ქალს თავის თავი სულ სხვანაირი ჰგონია; საყვარელს კაცს იგი აძლევს თავის სულის უმანკოებას და ეს დიდ-მნიშვნელოვან რამედ მიაჩნია. ქალმა გაიბერტყა, დაივიწყა წარსული და გულ-წრფელად (მერე, როგორ გულ-წრფელად!) ეუბნება თავისს არჩეულს: „ჩემი პირველი საყვარული ეს არისო“. ამას კი ჩვენებურად მოტყუება ჰქვიან. და როცა ამ სიცრუეს შეიტყობენ, ამისთვის გაუკითხავად ახრჩობენ, თუ საქმით არა, სიტყვით, აზრით, ყოფა ქცევით, უნდობლობით... რაგინდ სათნო და კეთილშობილი იყოს ადამიანი, უნდობლობა მაინც წარსულის რწმენის ადგილს იჭერს და ამას ის ბოლო მოჰყვება, რაზედაც ჩემს გერმანულ რომანში იყო ლაპარაკი,—თუნდაც ჯვარ-დაწერილებიც იყვნენ. აი, ეს მოტყუებაა, რომ მაშინებს მე.

თქვენ კარგად ვერ მიცნობთ. ჩვენ ისე შევხვდით ერთმანეთს; თქვენი წინანდელი „პატრონიც“, რომელთანაც მე ვმუშაობ, მხოლოდ აქ გადმოსვლის შემდეგ მიცნობს. ჩემი წარსული თქვენთვის გამოცანად რჩება. ამ ერთის წლის განმავლობაში თქვენ შეიტყეთ მხოლოდ, რომ მე 26 წლისა ვარ, საკმაოდ ლამაზი, მიუხედავად ამისა სტენოგრაფზე ვმუშაობ და ძლივს იმდენს ვიღებ, რომ თავი ვირჩინო; შეიტყეთ, რომ თქვენ ჩემთან მოწყენილი არა ხართ, ჩვენ ერთმანეთთან ყოფნა გვინდა... და მეტი არაფერი. მაგრამ მე რომ პატიოსნად და პირდაპირ გითხრათ, თქვენ ჩემთვის პირველი არა ხართ მეთქი?.. მაშინ რა? როგორი ასპარეზია საფიქრებლად!.. არაფერი არ ვიცოდე და ყველაფერს-კი მოველოდე. ასეთს შემთხვევაში შეიძლება დაარწმუნო კაცი, რომ რაღაც იყო, მაგრამ კი ვერ დაარწმუნებ, რომ რაღაც არ იყო. რაც უნდა გითხრათ, ვინც უნდა დაგისახელოთ, მაინც შესაძლებელია ეჭვი შეგეპაროთ: „ვითომ ამის მეტი არაფერია?.. როგორ შევიტყოთ“? სამუდამო გაუგებრობის უფსკრული გაჩნდება ჩვენს შუა და სიცოცხლეს მოგვიწამლავს, მით უმეტეს, რომ მე ჩემის სულის სიღრმეში მეცოდინება როგორ წმინდა ვარ ეხლა თქვენს წინაშე... და მცირე აჩრდილიც-კი უნდობლობისა ორკეცად დამტანჯავს და შეურაცხმყოფს.

ღმერთო ჩემო! დაიწყო ახალი ცხოვრება, უმანკო, მშვენიერი!.. მოშორდე ამ საცოდავს, გალიასავით ერთ ნამცეცა ოთახს, გყოლოდეს საყვარელი ქმარი, მყუდრო სადგომი, იქნება, ბავშვიც!.. როგორი ოცნებაა?

მაგრამ ამისთვის საჭიროა იცრუო. და განა შემიძლიან თქვენ სიცრუე გითხრათ?.. უმჯობესი არ იქნება შორიდან გამოგეთხოვოთ, დავკოცნო თქვენი ხუჭუჭ თმიანი თავი, რომელსაც ხანდახან ცოლქურად ელერსებოდა ჩემი ხელი, და სამუდამოდ განგშორდეთ? ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო, რა უნდა ვქნა? სინიდისი მამხელს განშორებას... მშვიდობით!..

რა საშინელებაა ამ წერილის დაბეჭდვა. გაიგზავნა ესა და ყოველივე დასრულდა —სამუდამო წყვდიადი, სამუდამოდ უარყოფა ბედნიერებისა!..“

გაგზავნილი დეპეშა:

„პეტერბურგი, სტიარევს, ფურშტატის ქუჩა, №. მოდით. ელენე“.

(დასასრული იქნება)

არჩევნო ხმას. ამის წყალობით 40 ადგილი ჩამოეცალა კლერიკალურ დასს და მიემატა ლიბერალურს. ცხადია, სხვათა შორის, ამ ფაქტსაც არა ნაკლები მნიშვნელობა ექმნებოდა სოციალისტურ დასის დამარცხებაში არჩევნების დროს. გარდა ამისა ეკონომიურ ინტერესების გამო საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიაც ჩამოეცალა კლერიკალურ დასს და არჩევნების დროს ხმები მისცა ლიბერალ დეპუტატებს. ყველა ეს, მგონებ, ასეც უნდა მომხდარიყო. საქმე ეს კი არა, აი რა არის: რისთვის გადვიდნენ ზოგიერთნი მუშათა დასიდან ლიბერალების მხარეს და თვით მუშათა დასი რატომ არ აღმოჩნდა იმ „ცენტრად", რომელსაც უნდა მიეზიდნა ზოგიერთი მუშები. ეს მუშები თავის შეუგნებლობით ამოსდგომოდნენ ლიბერალურ დასს და მათთან ერთად ხმას აძლევდნენ ლიბერალ-დეპუტატებს.

ვნახოთ, რა პასუხს იძლევიან ამ კითხვებზე, და როგორა ჰხსნიან დასის დამარცხებას თვით წარმომადგენლები ბელგიის სოციალიზმისა. გამოქვეყნებულ იქმნა თუ არა უკანასკნელი შედეგი დეპუტატთა არჩევნებისა, ბრიუსელში მოჰხდა მუშათა დასის მთავარ საბჭოს სხდომა. აი, რას გადმოგვცემს ამ სხდომის ანგარიშის შესახებ ბრიუსელის „Peuple": „აღნიშნულ იყო მიზეზები ჩვენის დამარცხებისა—მიზეზები საზოგადო და ადგილობრივ ხასიათისა. ამ უკანასკნელთა შორის უნდა დავასახელოთ: 1. ის მავნებელი უთანხმოება, რომელიც დაიბადა და ფესვი გაიდგა სოციალისტთა შორის ზოგიერთს ადგილებში; 2. ის შეცდომები, რომელიც მოუვიდათ ზოგიერთ სოციალისტებს კომმუნების ადმინისტრაციაში; 3. ზრდა-განვითარება კოოპერაციებისა, რომლებმაც ჩამოგვაშორეს წვრილი ბურჟუაზია; 4. საარჩევნო ხრიკები; 5. ძალ-დატანებითი ზედ-გავლენა და მოსყიდვა".

შემდეგ აღნიშნულია მიზეზები საზოგადო ხასიათისა. „ლიბერალები ძლიერ სარგებლობდნენ ე. ვანდერველდეს *) განცხადებით, რომელიც შეტანილ იქმნა პალატაში მომავალ ლიბერალურ სამინისტროს შესახებ. განცხადებაში ამბობდა ვანდერველდე: სოციალისტები არ შევლენ სამინისტროში, რადგან ისინი რეფორმებს არჩევენ სამინისტრო პორტფელებს, ამისდა მიუხედავათ ისინი მაინც თანაგრძნობას გაუწევენ ლიბერალებს, იმ პირობით-კი, თუ სამინისტრო განახორციელებს სავალდებულო სწავლის შემოღებას და კონსტიტუციის გადასინჯვასაო.

„შემდეგ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ლიბერალები წარსდგნენ საარჩევნო ტრიბუნის წინაშე პოლიტიკურ-დემოკრატიულ პროგრამმით. ბევრი ამომრჩეველი, რომელიც-კი ჰგრძნობდა პოლიტიკურ და ეკონომიურ ზედ-გავლენას კლერიკალების მხრით და რომელიც წინად მხოლოდ სოციალისტ-კანდიდატებს აძლევდა ხმას, ახლა ლიბერალურ დასს დაუბრუნდა. მაშასადამე, ჩვენ სხვადა სხვა მიზეზისა გამო დავკარგეთ მხოლოდ დემოკრატიული ამომრჩევლები, დავკარგეთ ისინი, რომელნიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთად-ერთი შესაძლებელი მთავრობა ხვალ არის მთავრობა ლიბერალურიო. სოციალისტური უმრავლესობა ჩვენი ერთგულია ისევ.

„იმ საშუალებათა განხილვის დროს, რომლებზედაც დამყარებულია ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესობა, აღმოჩნდა ორი ტენდენცია: ორი დელეგატი, დესტრე და მარული, მტკიცედ ადგნენ იმას, რომ საჭიროა დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკა და ბრძოლა ერთნაირად, როგორც კლერიკალებისა, ისე ლიბერალების წინააღმდეგაო; მეორენი—მათ შორის ტროკლე ფიურმენონი, კორნერი, ვანდერველდე და ანსელი—პირიქით, იმ აზრისანი იყვნენ, რომ, საჭიროა ჯერ ჩამოვაგდოთ კლერიკალური მთავრობა და მერე გავაგრძელოთ ბრძოლა უმრავლესობათა „ვოტების" (საარჩევნო ხმების) გაუქმებისათვის. ამისთვის საჭიროა შეერთება ლიბერალებთან იქ, სადაც ანტიკლერიკალურ კოალიციას შეეძლება ზოგიერთი ადგილი ჩამოაცალოს კლერიკალთა დასს. აქვე უნდა ვსთქვათ, როგორც პირველნი, ისე მეორენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ საჭიროა უპირველესად სოციალისტური აღზრდა უმრავლესობისა და გამაგრება ჩვენის ორგანიზაციებისა იმდენად, რამდენადაც სოციალისტების პროგრამმის პრაქტიკულ რეფორმის ზოგიერთ მუხლს თან-და-თან ისაკუთრებს ლიბერალების პოზიცია".

ასე ხსნიან თვით სოციალისტები სოციალ-დემოკრატთა დასის დამარცხებას.

ე—ხი.

* * *

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივლისი

მუკდენი 2 ივლისი (სააგენტოს საკუთარის კორესპონ.) მიღებულის ცნობებით, 20 და 21 ივნისს ჩვენმა ჯარმა მარჯვენა ფრთეზე განდევნა იაპონიის ჯარის მოწინავე რაზმები, დაიჭირა ლუნზანტანის ხეობის მარჯვენა ნაპირი და 23 ივნისს, მარჯვე ბრძოლის შემდეგ, აიღეს სიმაღლე, რომელიც ზედ დაპყურებს ლანვანტანის უღელტეხილს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. იაპონელებს, ჩინელების სიტყვით, ამ დღეებში მოკლული და დაჭრილი აღმოაჩნდათ ორი ათასი კაცი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ალყის შემორტყმის შემდეგ ციხის მიდამოებში იაპონელებმა ვერავითარ ნაყოფს ვერ მიაღწიეს. ჩვენი ჯარი ჯანსაღად და კარგ გუნებაზეა.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). „ნისი-ნისი სიმბუნ"-ში იბეჭდება დეპეშები იედოდან: „30 ივნისს ხანპორის საპოლიციო სადარაჯომ ცნობა გამოგზავნა, რომ 28 ივნისს, ღამე, ბენკეს კონცხის ჩრდილოეთ-დასავლეთით, 54 მილის მანძილზე, გაიარა სამმა თუ ოთხმა დიდმა გემმა. ომვოკის საპოლიციო სადარაჯო იუწყება, რომ გუშინ ქალაქ ოტას რეიდზე, ზენკეს კონცხის სამხრეთით, გაჩნდა ორი დიდი სამხედრო გემი და ოთხი ნაღმიანი გემი. 30 ივნისს აღმოჩნდა რუსის ოთხი ნაღმიანი გემი რეიდზე კუნძულ რიაიშირის მახლობლად, ლაპერუზის სრუტესთან. იაპონიის ზღვაოსანნი გაკვირვებულნი არიან კრეისერის „ნოვიკ"-ის უფროსის მოქმედებით. გემის უფროსმა ომის დაწყებიდანვე დიდი ცოდნა და სიმამაცე გამოიჩინაო".

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). იაპონელებმა დაიჭირეს ინკოუ, ქალაქში მყოფმა სამასმა რუსმა მოასწრო წასვლა. რუსები ჯერ კიდევ იჭერენ და წინ არ უშვებენ იაპონელებს პორტ-არტურის ჩრდილოეთით, 14 მილის მანძილზე. რუსები თავ-გამოდებით ეწინააღმდეგებიან იაპონელებს.

1 ივლისი

პეტერბურგი. 1 ივლისს ფინანსთა მინისტრის თანადასწრებით ჩაყარეს საძირკველი სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციის ტეხნიკურ სასწავლებლისა. სასწავლებლის უავგუსტოესი მფარველი ხელმწიფე მემკვიდრეა და ექსპედიციის უფროსის თავად ბ. ბ. გოლიცინის თაოსნობითაა დაარსებული.

ტულონი. რუსის გემ „არიოლ"-ის აფიცრები დაესწრნენ დღეს მეცხოვნე ჯარის პარადს.

კლარანსი. 11 მაისს აქ მოვიდა ტრანსვაალის პრეზიდენტად ნამყოფი კრიუგერი და 26 ივნისს ავად გახდა. 28 ივნისს ექიმებმა დაამტკიცეს, რომ ფილტვების ანთება აქვს. ავადმყოფი უგრძნობლად იყო. კრიუგერმა სურვილი გამოაცხადა, ტრანსვაალში ჩემი ცოლის გვერდით დამმარხეთო.

სოფია. (ოპოზიც. წრეებიდან). საერთოდ ყველანი ჰკიცხავენ დედეაგაჩის გზაზე მომხდარ დინამიტით აფეთქებას.—სარაფოვი მაკედონიაში არ წასულა და ამ ჟამად სოფიაშია. მეამბოხეთა და ოსმალეთის ჯარს შორის გიუმენჯესთან მომხდარ შეტაკების დროს განადგურებულ იქმნა 33 სახლი. ბაში-ბუზუკებმა დაიტაცეს 500 ათას ფრანკად ღირებული საქონელი და სძარცვდნენ ბერძენ ვაჭრების სახლებს. პატრიარქატმა გადასწყვიტა, პროტესტი გამოაცხადოს.—სამოქალაქო აგენტებმა მოგზაურობის დროს ჰნახეს, რომ ბევრ სოფელში ოსმალეთის მოხელეებს 600 სახლის მაგიერ ბარაკები აუშენებიათ. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი უსახლ-კაროდ დარჩა.

ვენა. „ფრემდენბლატი" შენიშნავს, რომ სამხრეთ მაკედონიიდან ერთმანეთის წინააღმდეგი ცნობები მოდის; ერთის მხრით იუწყებიან, რომ მაკედონიის კომიტეტი მოლოდინის გზას ადგია, მეორეს მხრით-კი დინამიტით აფეთქებებისა და ჯუფთებთან შეტაკების ამბები მოდის. ეჭვს გარეშეა, რომ მაკედონიის მცხოვრებნი მშვიდობიანად არიან განწყობილნი და მათ ასაღელვებლად აგიტაციაა საჭირო. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აგიტაცია უნაყოფო იქნება. საჭიროა პორტა არ აბრკოლებდეს რეფორმების შემოღებას. ჟანდარმერიას რეფორმების მოქმედება ეტყობა. რკინის გზებზე აფეთქებანი ვერ დაარღვევენ რეფორმებს. თუ ამ აფეთქებით სურდათ ევროპაზე შთაბეჭდილება მოეხდინათ, ამას შედეგად ის მოჰყვება, რომ აფეთქების მოთავეთ ღირსეულად და სასტიკად გაჰკიცხავენ.

სტამბოლი. გიუმენჯესთან მომხდარ ჯუფთებთან შეტაკების დროს, სალონიკის ვილაეტში 19 ივნისს დასწვეს და გაძარცვეს 30 სახლზე მეტი. 110 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. მთავარ ინსპექტორს ხილმი ფაშას ეს ამბავი სამოქალაქო აგენტებმა აუწყეს. სალონიკის ვალი ცდილობდა ჩაეფუჩეჩებინა ეს ამბავი. კაიმაკამი და იენიჯე ვარდარი გადააყენეს სამსახურიდან და სამართალში მისცეს. კაიმაკამის ოფიციალური მოხსენება სიმართლეს მოკლებულია. ცეცხლისა და გაძარცვისაგან უმთავრესად ბერძნები დაზარალდნენ. მსოფლიო პატრიარქმა გადასწყვიტა, წინადადება წარუდგინოს პორტას

2 ივლისი

ზიანზცე. („რეიტ. სააგენტო"). პოლკოვნიკმა იონგჰეზბანდმა მიჰმართა ტიბეტელებს პროკლამაციით, რომლითაც აუხსნა, რომ ინგლისის ექსპედიციის საგანია ლხასზე გალაშქრება, სადაც ინგლისის მთავრობას ჰსურს პროტესტი განაცხადოს იმის გამო, რომ ტიბეტის მთავრობა შეუფერებლად ეპყრობა ინგლისის წარმომადგენლებს. შემდეგ პროკლამაციაში აღნიშნულია, რომ ინგლისის ჯარზე ყოველ თავდასხმისათვის ტიბეტელები სასტიკად დაისჯებიან.

ურჟუმი. 29 ივნისს მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზინოვიევი ადგილობრივ საერობო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

არხანგელსკი. ქალაქის პირველ ნაწილში გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის კანტორის განყოფილება.

კუკარკა. დღეს ხაზინა გაიხსნა.

სტამბოლი. პორტამ წერილობით გასცა პასუხი სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქს ორმანიანს, რომ მუშსა და სასუნში მომხდარი ამბები თვით სომხების ბრალიაო. პორტა აღნიშნავს, რომ ძალმომრეობა თვით სომხებმა ჩაიდინეს, ხოლო ოსმალეთის სამოქალაქო მოხელენი კარგად მოქმედებდნენო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

1 ივლისი.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში		
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,55	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	$6\text{-}7^1/_2\%$	
4% სახელმწიფო რენტა	$92^3/_8$ გაყ.	
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^1/_2\%$ შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$87^3/_4$	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$379^1/_2$	„
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$298^1/_2$	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	262	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^1/_2\%$ ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4^1/_2\%$ გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	-	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	--	
. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	192	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ახალი გახსნილი
სასტუმრო **არკადია** ნომრებით
(ყოფილი „იალტა")

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, პურა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—38)

ავლაბარში კახეთის მოედანზე, გოგილაშვილის აბანოს ქვემოთ, მტკვრის პირად, ხელ-ახლად გაიმართა **თრიმლის სანაყი.** საწყობი კახეთის ქუჩაზეა. ერთი ფუთის დანაყვა ეღირება 10 კაპ., ხოლო გადატანით ტფილისში 11 კაპ. საწყობი 10,000 ფუთისთვის არის. თრიმლი შეიძლება უსასყიდლოდ ეწყოს ოთხ თვეს. (2—245—1)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦIЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანის ახლოს. (წ.—176—52)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამა წლის 22 აპრილიდან დავნიშნე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
60—189—55)
პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

---

*) ბელგიის გამოჩენილი ეკონომისტია.

Доз. цензурою. 2 Iюля 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ.-ობ. Электропеч. Груз. Изд. Т—ва